



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080195826020420

№ 2700

25 / ივნისი / 2020 წ.

შპს „ხოჩას“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“;

ტენდერის ნომერი: NAT200003711;

შესყიდვის ობიექტი: 44100000 – სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები;

მიმწოდებელი: შპს „ხოჩას“ (ს/ნ: 416344012);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 26 და 31 მარტს წარმოდგენილ იქნა ააიპ „რუსთავსერვის ცენტრის“ 2020 წლის 26 მარტის №111 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №3599) და 2020 წლის 31 მარტის №114 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №3706), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ხოჩას“ (ს/ნ: 416344012) მიერ NAT200003711 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 10 მარტის № 24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის o.tabatadze1986@yahoo.com მეშვეობით, 2020 წლის 3 აპრილის №1218 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2020 წლის 10 აპრილს მიმწოდებელმა სააგენტოში წარმოადგინა 2020 წლის 9 აპრილის №3-3/20 განმარტება (რეგისტრაციის №3969) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.4. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და, შესაბამისად, მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადგენად, „შპს „ხოჩას“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 27 მაისის №2358 განკარგულებით, ერთი თვით გაგრძელდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

1.5. სააგენტოს 2020 წლის 1 ივნისის №1844 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა დამატებით ინფორმაციის წარმოდგენა მის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე. მიმწოდებელს დამატებით ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი ვერ ასრულებდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ვალუტის კურსის ცვლილების გამო და მოითხოვა ხელშეკრულების ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა მხარეთა შეთანხმებით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტების თანახმად, იგი სრულად დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გარემოებებს.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2020 წლის 13 თებერვალს ააიპ „რუსთავსერვის ცენტრმა“ გამოაცხადა NAT200003711 ელექტრონული ტენდერი სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალების (CPV44100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2020 წლის 2 მარტის № 4 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ხოჩა“ (ს/ნ: 416344012) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2020 წლის 10 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა №24 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიენოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მისი გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 87 812,46 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 31 იანვარი.

4.4. მიმწოდებლის 2020 წლის 19 მარტის № 1-3/20 წერილით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან და ვალუტის კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულებისა და მოქმედების ვადის ნაწილში ცვლილებების შეტანა, ხოლო მიმწოდებლის 2020 წლის 25 მარტის № 2-3/20 წერილით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტა.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2020 წლის 26 მარტის შეთანხმებით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეწყდა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ხოჩა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო აღგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფროთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელი ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, ამავე დროს, მიმწოდებელმა 2020 წლის 19 მარტის № 1-3/20 წერილით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან და ვალუტის კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, ითხოვა ხელშეკრულების ღირებულებისა და მოქმედების ვადის ნაწილში ცვლილებების შეტანა. სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა, ასევე მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის არ გადაწყვეტილა მიმწოდებლის მიერ

მოთხოვნილი ცვლილებების დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხი, კომპანიამ 2020 წლის 25 მარტის № 2-3/20 წერილით ითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. საგულისხმოა, რომ საქმეში არსებული მასალებით ვერ დგინდება, მიზეზშედეგობრივი კავშირი მიმწოდებლის მიერ 2020 წლის 25 მარტის №2-3/20 წერილში მითითებულ გარემოებასა და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას შორის, მითუმეტეს, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ კომპანიას იმავე მდგომარეობის გამო, მოთხოვნილი ჰქონდა არა ხელშეკრულების შეწყვეტა, არამედ მასში ცვლილებების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მოთხოვნის მიუხედავად (კომპანიას ეთხოვა განემარტა იქონია თუ არა გავლენა ვალდებულებების შეუსრულებლობაზე კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ და წარმოედგინა აღნიშნულზე პანდემიის გავლენის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია), მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დამატებითი ინფორმაცია არ წარმოუდგენია. ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტებისა და მსჯელობის ურთიერთმეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა და სახეზეა მისი შავ სიაში რეგისტრაციის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ხოჩა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ხოჩა“ (ს/ნ: 416344012) 2020 წლის 26 ივნისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრულად 

ლევან რაზმაძე